ი) ქალაქ თბილისში, ყიული შარტავას ქუჩა N41ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.172) ნაწილზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორია ხასიათდება მაღალი ინტენსივობის განაშენიანებით. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.10.13.015.172 საკადასტრო ერთეულსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), შესაბამისად, ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილებას არ ექნება ფრაგმენტული ხასიათი და არ გამოიწვევს მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სტრუქტურის რღვევას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ყიული შარტავას ქუჩა N41ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.172) საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება მისაღება;

კ) ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა N25-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.03.037.004-ის მიმდებარედ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. ვინაიდან, ფუნქციური ზონის ცვლილების მოთხოვნილ მონაკვეთს ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური 2021 წლის 30 მარტის N01210892882 წერილით თავისი კომპეტენციის ფარგლებში სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების წინააღმდეგი არ არის. ამასთანავე, ვინაიდან, „დედაქალაქის მსწავლარეების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია ექცევა ისტორიული ნაწილის დამცავ ზონაში „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების დანართი N2-ის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ქმედებები რეგულირდება კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონით, ზემოაღნიშნული დადგენილებითა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებითა და წესებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების თანახმად, N01210853697-67 განცხადების ფარგლებში ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხი განსახილველად წარედგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს. საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე (2021 წლის 1 აპრილის N11 ოქმი), N01.18.03.037.004 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ მიწის ნაკვეთის პრივატიზების მიზნით ფუნქციური ზონის, კერძოდ, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა N25-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.03.037.004-ის მიმდებარედ) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება მისაღებია;

ლ) ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N12 / ვლადიმერ ლობჯანიძის ქუჩა, N25- ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.12.044.003) ნაწილზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონის (სზ) ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). საპროექტო მიწის ნაკვეთის მსმდებარე ტერიტორია განვითარებულია შერეული ინტენსივობით, საზოგადოებრივი დანიშნულების მქონე ობიექტებით. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილება არ გამოიწვევს განაშენიანების ერთიანი ხასიათის რღვევას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N12 / ვლადიმერ ლობჯანიძის ქუჩა, N25-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.17.12.044.003) საცხოვრებელი ზონის (სზ) ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) მისაღებია;

მ) ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.01.06.872; N81.01.20.125) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკის შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 16 მარტის N01210753405 წერილის მიხედვით სამსახური თანახმაა განხორცილდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: N81.01.06.872; N81.01.20.125) ვრცელდებოდა საოფლო სამეურნეო ზონა (სოფზ). ხოლო „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, გავრცელდა სატყეო ზონა შესაბამისად გარკვეულ წილად რეგისტრაციებს შეეზღუდათ განვითარების შესაძლებლობა. N81.01.06.872; N81.01.20.125 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებამდე მიდის სრულყოფილი მისასვლელი გზა (სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და უზრუნველყოფილია ყველა საჭირო ინფრასტრუქტურით. მომიოჯნავე რეგისტრაციებზე გავრცელებულია საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და შესაბამისად სამშენებლოდ განვითარებულია მასზე არსებული ფუნქციური ზონის შესაბამისად.

*კომისიის სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით მითითებული ზონის ცვლილება გადადებულ იქნეს.*

ნ) ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.13.33.844; 72.13.47.579; 72.13.47.556) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 1 მარტის N01210601388 წერილის მიხედვით სამსახური თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთებზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა. ასევე, N72.13.33.844; 72.13.47.579; 72.13.47.556 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები განვითარებულია სამრეწველო ფუნქციით, მასზე არ ფიქსირდება მწვანე ნარგავები და რეკრეაციული გარემო. მომიჯნავე რეგისტრაციაზე ძირითადი რუკით ვრცელდება ასევე სამრეწველო ზონა 1 (ს-1) რომელზეც არ ვრცელდება გამწვანებული ტერიტორიების რუკის შემთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3). შესაბამისად ქალაქგეგარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილია ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე გავრცელდეს სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და განვითარდეს ამ ზონაში დასაშვები ფუნქციებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.13.33.844; 72.13.47.579; 72.13.47.556) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა მისაღება;

ო) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, კიროვის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.20.01.131.020) არსებულ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 22 მარტის N 01210811760 წერილის მიხედვით ვინაიდან საპროექტო მონაკვეთს ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოთხოვნილ მონაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის. ასევე, ცვლილების შედეგად წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, მომიჯნავედ არსებულ N01.20.01.131.013 რეგისტრაციაზე და მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდა სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, კიროვის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.131.020 N01.20.01.131.013) და მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღება;

პ) ქალაქ თბილისში, ბოჭორმის ქუჩა N25-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.13.045.034, 01.17.13.045.097, 01.17.13.045.035) მოთხოვნილია

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. N01.17.13.045.034, 01.17.13.045.097, 01.17.13.045.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები მდებარეობს ცენტრალური გზის მომიჯნავედ (ბოჟორიშვილის ქუჩა) უზრუნველყოფილია სრულყოფილი მისასვლელი გზით და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურით. მიმდებარე განაშენიანება წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის განაშენიანებას, რომელშიც დომინირებს მაღალსართულიანი შენობა-ნაგებობები, ასევე რეგისტრაციების მოპირდაპირედ გავრცელებულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) რომელიც ასევე განვითარებულია მაღალსართულიანი შენობა-ნაგებობებით. არსებული გარემო განაშენიანების გათვალისწინებით და ერთიანი სახით სამშენებლოდ განვითარებისათვის ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მისაღებია მიწის ნაკვეთებზე გავრცელდეს საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). ცვლილების შედეგად ინტერაქტიულ რუკაზე წარმოეჩინება მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ არსებული მცირე ხარვეზები. არსებული ხარვეზების გასწორების მიზნით სატრანსპორტო ზონის (ტზ-1-ს ცვლილება განხორციელდა საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) და საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, ბოჟორმის ქუჩა N25-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.13.045.034, 01.17.13.045.097, 01.17.13.045.035- მიმდებარე ტერიტორია) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

ჟ) ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.07.013.017) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 2 მარტის N012106110 წერილის მიხედვით საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციასთან ერთად ადგილზე შეისწავლა საპროექტო ტერიტორია. ირკვევა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე (N01.15.07.013.017) და მის მიმდებარედ, კერძოდ: N01.15.07.003.129, N01.15.07.013.026 N01.15.07.013.029 და N01.15.07.013.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ნაწილობრივ ვრცელდება არსებულ შენობა-ნაგებობებზე. ამასთან, გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) წარმოადგენს რა მისასვლელ გზას და აქვს სატრანსპორტო ფუნქცია. შესაბამისად, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური თავის კომპეტენციის ფარგლებში მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ N01.15.07.003.129, N01.15.07.013.026 N01.15.07.013.029 და N01.15.07.013.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე და მომიჯნავედ (ჩრდილოეთით) გავრცელებული სატრანსპორტო ზონის ცვლილება მოხდეს ისე, რომ სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) შეესაბამებოდეს ფაქტობრივად არსებულ სავალ ნაწილს და მისი სიგანე შეადგენდეს 3.5 მეტრს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ

თბილისში, სოფელ ოქროყანაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.07.013.017) და მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია;

რ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, I ჩიხის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.09.008.625) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 24 მარტის N18-01210832322 წერილის მიხედვით სამსახური თანახმაა N01.14.09.008.625 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიის რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენაც. ხოლო, რაც შეეხება N01.14.09.008.625-ის მომიჯნავედ არსებულ რეგისტრაციას (საკადასტრო კოდი: 01.14.09.008.406) რომელზეც ხარვეზის სახით გადადის სატყეო ზონა და ასევე ვრცელდება გამწვანებული ტერიტორიის რუკის ფენით გავრცელებული სატყეო ზონის ფენაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური დადებით პოზიციას აფიქსირებს აღნიშნულის მოხსნასთან და საცხოვრებელი ზონის გავრცელებასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, I ჩიხის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.09.008.625) დამიმდებარე ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია;

ს) ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, თელოვანში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი; N01.72.14.053.110) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) და საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, N01.72.14.053.110 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.053.110) ნაწილზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) და ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), ხოლო, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება სატყეო ზონა და ზოგადი სარეკრეაციო ზონა (რზ). შესაბამისად ახალი გენ-გეგმის ფარგლებში ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთს შეეზღუდა სამშენებლოდ განვიტარების შესაძლებლობა. წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.053.110) და მიმდებარე ტერიტორიაზე

სატყეო ზონის ცვლილება განხორციელდა ზოგადი სარეკრეაციო ზონით (რზ) და საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1). სარეკრეაციო ზონა (რზ) დაზუსტდება შესაძლებელია ქვეზონებით: სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) მშენებლობის სტადიაზე. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 2 აპრილის N18-01210913714 წერილის მიხედვით სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული ფენის (სატყეო ზონა) მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, სოფელ დიდლოში, თელოვანში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი; N01.72.14.053.110-ნაწილზე) და მიმდებარე ტერიტორიაზე სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონის (რზ)-ით და საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენის მოხსნა მისაღებია;

ტ) ქალაქ თბილისში, ავჭალა 2-ის დასახლებაში, ლადო გუდიაშვილის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:N72.13.34.171) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის რუკიას მიხედვით N72.13.34.171 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). ხოლო, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობა გაუუარესდა და გავრცელა სატყეო ზონა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 5 აპრილის N18-01210954343 წერილის მიხედვით სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, წარმოდგენილ საპროექტო არეალზე, განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენა. წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, ავჭალა 2-ის დასახლებაში, ლადო გუდიაშვილის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:N72.13.34.171) და მიმდებარე ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია;

უ) ქალაქ თბილისში, თვალჭრელიძის VI ჩიხი, N4ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.18.001.162; N01.19.18.001.163; N01.19.18.001.035)

მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა. ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ცვლილება ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 7 აპრილის N18-01210972285 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა სამრეწველო ზონა 1 (ს-1). აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, თვალჭრელიძის VI ჩიხი, N4ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.18.001.162; N01.19.18.001.163; N01.19.18.001.035) და მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია.

**№12-032111357-03 23.04.2021;**

ა) ქალაქ თბილისში, გზისკარის ქუჩა, N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტროკოდი: N81.05.09.347) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე „ქალაქ თბილისში, გზისკარის ქუჩა, N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტროკოდი: N81.05.09.347) საწარმოო და სასაწყობო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 აპრილის N124 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გზისკარის ქუჩა, N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტროკოდი: N81.05.09.347) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

**№12-032111612-03 26.04.2021**

ა) ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში (ნაკვეთი 15/004) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.17.015.004) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ცვლილება სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) და



გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მიწის ნაკვეთის განკარგვა. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, აღმოსავლეთ ნაწილში გავრცელებულია სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 22 აპრილის N01211122783 წერილის მიხედვით, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული ფენის სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებით დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში დარჩესილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, საპროექტო მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ ხორციელდება სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ცვლილება სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში (ნაკვეთი 15/004) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.17.015.004) და მომიჯნავედ პირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ცვლილება სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებაა.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის 25 წინადადება და შესატანი ცვლილებები გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

5. ქალაქ თბილისში, შეშელიძის ქუჩა №18-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.04.026.046) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032109855-03 08.04.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, შეშელიძის ქუჩა N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.026.046). ნაკვეთის ფართობი: 9377 კვ.მ. საპროექტო ტერიტორიას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება მიწის ნაკვეთი, რომელზეც შეთანხმებულია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა. დასავლეთით - მიწის ნაკვეთი, რომელზეც ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), ასევე დასავლეთით გადის სარკინიგზო მაგისტრალი.

სამხრეთით კი თ. შეშელიძის ქუჩა. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მსხვილ სატრანსპორტო კვანძთან. კერძოდ, გურამიშვილის გამზირისა და გლდანი დიდის განივი კავშირის გადაკვეთასთან. ტერიტორია, ასევე მდებარეობს ორ დონიან სატრანსპორტო კვანძთან, (თ. შეშელიძის და ფეიქართა ქუჩები), 300 მეტრში მდებარეობს მეტროსადგური „სარაჯიშვილი“, ხოლო 2 კმ-ის რადიუსში მეტროსადგური „ახმეტელის თეატრი“. საპროექტო ტერიტორიას დასავლეთით ესაზღვრება რკინიგზა და ნავთობპროდუქტების გამანაწილებელი ობიექტი; შენობა-ნაგებობის განთავსების არეალის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების ეტაპზე წარმოდგენილ უნდა იქნეს სს „საქართველოს რკინიგზასთან“ შეთანხმებული საპროექტო ტერიტორიის გენ-გეგმა, შეზღუდვის არეალების დატანით (ზომების მითითებით). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); შიდაკვარტალური გამწვანების რუკით, საპროექტო არეალის მცირე ნაწილზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). შემოთავაზებული წინადადებით იგეგმება ერთი შენობის განთავსება, მრავალფუნქციური კომპლექსი. ფუნქციური დანიშნულების პროცენტულობით 75%-25%, სადაც დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი ფუნქცია; საპროექტო წინადადების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებია: კ1-0,4- 3 630 კვ.მ კ2-4,6-43 600 კვ.მ კ3-0,3- 2 814 კვ.მ საპროექტო შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობა 24-29 სართული; საპროექტო ფუნქციური ზონირება: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); საპროექტო ტერიტორიაზე სატრანსპორტო კავშირი ხორციელდება თ.შეშელიძის ქუჩიდან დაურეგისტრირებელი არეალის გავლით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 11 მარტის N01210701984 წერილის შესაბამისად, წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია და კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N01.11.04.026.046 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 1 აპრილის N0121091607 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.

*ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, შეშელიძის ქუჩა N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.026.046) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება დასაშვებია. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

6. ქალაქ თბილისში, ვასო გომიაშვილის ქუჩა №63-სა და №99ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.10.10.016.004; №01.10.10.016.009) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03211052-03 15.14.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვასო გომიაშვილის ქუჩა N63-სა და N99ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.10.016.004; N01.10.10.016.009). ნაკვეთის ჯამური ფართობი შეადგენს 16 438 კვ.მ-ს. დღეის მდგომარეობით საპროექტო ტერიტორიასა და მის დასავლეთით მდებარეობს სასაწყობე-საწარმოო შენობა-ნაგებობები. აღნიშნული შენობები დღესდღეობით ფუნქციადაკარგულია და საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია მათი დემონტაჟი. ჩრდილოეთის მხარეს ესაზღვრება მდინარე ოკადირისხევი და უსისტემოდ განვითარებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. სამშენებლო მოედანი წარმოადგენს სწორი რელიეფის მქონე არეალს. სატრანსპორტო კავშირი ხორციელდება ვ. გომიაშვილის ქუჩიდან. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1), საცხოვრებელი ზონა (სზ) და მცირედ ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). შემოთავაზებული წინადადებით იგეგმება ტერიტორიის საცხოვრებელი ფუნქციით განვითარება და სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა. ხდება არსებული 2 საკადასტრო ერთეულის ხელახალი გამიჯვნა ფართების ცვლილებით. საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი: 16 438 კვ.მ, ხოლო დაურეგისტრირებელი ფართი (რომელიც ხვდება საპროექტო არეალში, თუმცა ხდება მისი ადგილმონაცვლეობა ფართის უცვლელად) წარმოადგენს 87 კვ.მ-ს. ნაკვეთი N1 - მიწის ფართობი 5 871 კვ.მ. განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1=0,3 (2 000 კვ.მ.); განაშენიანების ინტენსიობის კოეფიციენტი: კ-2=2,5 (15 130 კვ.მ.); მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0,3 (1 790 კვ.მ.); ნაკვეთი N2 - მიწის ფართობი 10 567 კვ.მ. განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1=0,3 (3 000 კვ.მ.); განაშენიანების ინტენსიობის კოეფიციენტი: კ-2=2,5 (26 620 კვ.მ.); მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0,3 (3 145 კვ.მ.); არსებული ფუნქციური ზონირება : სამრეწველო ზონა 1 (ს-1), საცხოვრებელი ზონა (სზ) და მცირედ ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). საპროექტო ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6); ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 1 აპრილის N01210913628 წერილის შესაბამისად, წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია და კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 1 აპრილის N01210913864 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 12 აპრილის N61- 01211022701 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი, დაინტერესებაში არსებულ საკადასტრო ერთეულს დაკორექტირდეს ფართის უცვლელად, რეგისტრაციებს შორის არსებული მცირე დაურეგისტრირებელი სივრცის გამოყენებით, N01210841989-67 ელექტრონული განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად.

*ყოვლივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ვასო გომიაშვილის ქუჩა N63-სა და N99-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.10.016.004; N01.10.10.016.009) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება დასაშვებია. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

7. ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა №34-ში (საკადასტრო კოდები: №01.17.11.034.067; №01.17.11.034.069; №01.17.11.034.068) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03211024-03 12.04.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტინძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, წულაძის ქ. N34-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის მიმდებარედ (საკადასტრო კოდები: N01.17.11.034.067; N01.17.11.034.069; N01.17.11.034.068). სატრანსპორტო წვდომა ხორციელდება ბერი გაბრიელ სალოსის გამზირიდან. საპროექტო ტერიტორიას აღმოსავლეთით ესაზღვრება რაგბის მოედნები, სამხრეთით საპატრიარქოს კუთვნილებაში არსებული მიწის ნაკვეთები, დასავლეთიდან სკოლაგიმნაზია „შავნაბადა“, ჩრდილოეთიდან კი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანება. ტერიტორიაზე ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ ბალანსზე არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელი, აღნიშნულ ქსელთან მიმართებაში საპროექტო წინადადება შეთანხმებულია შესაბამის უწყებასთან. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრელდება სამრეწველო ზონა 1

(ს-1). გამწვანებული ტერიტორიების რუკით კი, ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება. „ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა N34-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.11.034.069; N01.17.11.034.067; N01.17.11.034.068) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 დეკემბრის N409 განკარგულებით დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმით ხდება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული სამი საკადასტრო ეროეულის (N01.17.11.034.069; 01.17.11.034.067; 01.17.11.034.068) გაერთიანება, არსებული ფუნქციური ზონირების სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) და საპროექტო ტერიტორიის განვითარება ზონის შესაბამისი ფუნქციებით, კერძოდ, განაშენიანება ხდება საშუალო ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსით. ტერიტორიაზე განთავსდება 8 სართულიანი, 6 საცხოვრებელი შენობა (A ბლოკი, B ბლოკი, C ბლოკი, D ბლოკი, E ბლოკი და F ბლოკი). განაშენიანების რეგულირების გეგმით მიწის ნაკვეთის დეტალური რეგლამენტით ასევე ნებადართულია საოფისე და კომერციული ფუნქციების გაჩენაც. ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სტადიონის, გასართობი და სასეირნო სკვერების და გამწვანებული სივრცეების მოწყობა. მაქსიმალური სიმაღლე/სართული - 8 სართული საპროექტო კოეფიციენტები: კ1=0.4, კ2=2.1, კ3=0.3 არსებული ზონირება - სამრეწველო ზონა 1 (ს-1) საპროექტო ზონირება - საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 29 მარტის N0121088759 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 18 მარტის N01210773270 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N01.17.11.034.067; N01.17.11.034.068 და N01.17.11.036.069 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

*ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა N34-ში (საკადასტრო კოდები: N01.17.11.034.067; N01.17.11.034.069; N01.17.11.034.068) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

8. „ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ჩაჩავას ქუჩა №2-4-6-8-10-ში შ.პ.ს. „დიდომი დისტრიქტ აფართმენტი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის

ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა) განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 21 დეკემბრის №03/1539 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032110271-03 12.04.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ნოდარ ბოხუას ქუჩა N10 ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.02.005.006). ტერიტორიის ფართობი: 10 527 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). „ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ჩაჩავას ქუჩა N2-4-6-8-10-ში შ.პ.ს „დილომი დისტრიქტ აფართმენტი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა) განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 21 დეკემბრის N03/1539 ბრძანებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმა. „ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ნოდარ ბოხუას ქ. N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N01.13.02.005.006) მრავალფუნქციური შენობის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N118 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, რომლის მიხედვითაც საპროექტო ტერიტორიაზე დადგენილი იყო შერეული ზონა (შზ), სადაც განთავსებული იყო ოთხი მრავალფუნქციური, 11, 12, 14, 16 სართულიანი შენობანაგებობა. საპროექტო ტერიტორიისათვის ჯამურად დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები: შერეული ზონა (N8-13 წესების შესაბამისად) ტერიტორიის საერთო ფართობი: 10 527 კვ.მ კ-1 მთლიანი საპროექტო ტერიტორიისათვის: კ-1=0.3 საანგარიშო ფართობი 3 123 კვ.მ. კ-2 მთლიანი საპროექტო ტერიტორიისათვის: კ-1=4.0 საანგარიშო ფართობი 36 230 კვ.მ. (დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით არ იყო სრულად ათვისებული ტერიტორიისთვის დადგენილი კ-2=4.0. საანგარიშო ფართობის მიხედვით ათვისებული იყო კ-2=3,44) კ-3 მთლიანი საპროექტო ტერიტორიისათვის: კ-3=0,3 საანგარიშო ფართობი 3 158 კვ.მ. „ქ. თბილისში, ბოხუას ქ. N10 (ს/კ: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „დილომი დისტრიქტ აფართმენტის” (ს/ნ 204514926) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის

N20.1229.1525 განკარგულებით დადგინდა, ხოლო „ქ. თბილისში, ბოხუას ქ. N10 (ს/კ: N01.13.02.005.006) არსებული დაუთმავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „დილომი დისტრიქტ აფართმენტის“ (ს/ნ 204514926) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 ოქტომბრის N309 განკარგულებით შეთანხმდა არსებული დაუთმავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „დილომი დისტრიქტ აფართმენტის“ (ს/ნ 204514926) მიმართ გამოსაყენებელი ხელშემწყობი ღონისძიებები. დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელებულია ორი 11 და 12 სართულიანი შენობა-ნაგებობის მშენებლობა (განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით „ა“ და „დ“ ბლოკის), ხოლო წარმოდგენილი კორექტირება ეხება დარჩენილ ორ ბლოკს, რომელთა სართულიანობა იზრდება 14-16 სართულიდან 18-19 სართულამდე. წარმოდგენილი პროექტით, დადგენილი ქალაქმშენებლობითი პარამეტრები რჩება უცვლელი, თუმცა ვინაიდან, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის დადგენილი კ-2=4.0 არ იყო სრულად ათვისებული, კორექტირება ეხება მხოლოდ კ-1 და კ-2 კოეფიციენტების საანგარიშო ფართობებს, კ-1, კ-2, კ-3 კოეფიციენტებს მაჩვენებლები კი რჩება უცვლელი. საპროექტო პარამეტრები შემდეგია: ტერიტორიის საერთო ფართობი: 10 527 კვ.მ კ-1 მთლიანი საპროექტო ტერიტორიისათვის: კ-1=0.3 საანგარიშო ფართობი 3 248,42 კვ.მ. კ-2 მთლიანი საპროექტო ტერიტორიისათვის: კ-1=4.0 საანგარიშო ფართობი 42 238,58 კვ.მ. კ-3 მთლიანი საპროექტო ტერიტორიისათვის: კ-3=0.3 საანგარიშო ფართობი 3 154.38 კვ.მ.

*ყოვლივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, „ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ჩაჩავას ქუჩა N2-4-6-8-10-ში შ.პ.ს „დილომი დისტრიქტ აფართმენტ“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, სავაჭრო საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა) განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 21 დეკემბრის N03/1539 ბრძანებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

9. „ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გობრონიძის ქუჩა, ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გლდანი-მუხიანისკენ მიმავალ გზაზე ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დასახლება მუხიანი, ბაზრობის მიმდებარედ, წყალკანალისკენ; ქალაქი თბილისი, შუშელიძის ქუჩისა და მუხიანის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მუხიანის მიმდებარედ (საკადასტრო კოდები: №01.11.13.001.080; №01.11.13.002.188; №01.11.13.002.168; №01.11.13.002.190; №01.11.13.002.187) მრავალფუნქციური კომპლექსის

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე  
(საკრებულოს №12-032110273-03 12.04.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტინძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, გლდანი-მუხიანისკენ მიმავალ გზაზე, შეშელიძის ქუჩისა და მუხიანის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.11.13.001.080; N01.11.13.002.188; N01.11.13.002.168; N01 11.13 002.190; N01.11.13.002.187). საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია: 14 911 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). გამწვანებული ტერიტორიების რუკით კი, შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური). „ქალაქ თბილისში, გლდანი მუხიანისკენ მიმავალ გზაზე, ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება, ბაზრობის მიმდებარედ წყალკანალთან; ქალაქი თბილისი, შეშელიძის ქუჩისა და მუხიანის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ხევძმარის ქუჩა N1 მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.13.022.187; N01.11.13.002.168; N01.11.13.002.190; N01.11.13.001.080; N01.11.13.002.188) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის N375 განკარგულებით დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. საპროექტო ზონირება: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). საპროექტო წინადადებათა ტერიტორიის ნაწილზე იცვლება არსებული ფუნქციური ზონირება, კერძოდ, სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) იცვლება საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ით (სსზ-2) და სრულ საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). საპროექტო ტერიტორიის შუა ნაწილში გადის ქალაქის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სანიაღვრე კოლექტორი ზომით 5მX6მ, რომელსაც დადგენილი აქვს კოლექტორის ორივე მხარეს 5 მეტრიანი შეზღუდვის არეალი. აღნიშნული შეზღუდვის გათვალისწინებით, საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია ორი 29-29 სართულიანი მრავალფუნქციური, საცხოვრებელი შენობა-ნაგებობა. 75% - საცხოვრებელი, ხოლო 25% - კომერციული ფუნქციით. ასევე, საპროექტო არეალში შედის მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.188) ფართობით 846 კვ.მ., რომელიც პრივატიზებულია მასზე ავტოსადგომების მოწყობის პირობით (2008 წლის 14 თებერვლის N24 ოქმით დადგენილი ვალდებულების შესაბამისად). აღნიშნული ვალდებულება გათვალისწინებულია და განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრულ ავტოსადგომთა აუცილებელ რაოდენობაზე დამატებით მოწყობილია 118 ავტოსადგომი, ჯამში - 465. შენობის ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: მიწის ნაკვეთის



ფართობი: 14 911 კვ.მ. სსზ-2 კ-1=0.5; კ-2=4.6; 69 313 კვ.მ. (75% - 51 984,75 კვ.მ. საცხოვრებელი; 25% - 17 328,25 კვ.მ. კომერციული) კ-3=0.3; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 11 მარტის N01210703370 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 9 მარტის N01210773270 (N01210211694) წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

*ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გობრონიძის ქუჩა, ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გლდანი-მუხიანისკენ მიმავალ გზაზე ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დასახლება მუხიანი, ბაზრობის მიმდებარედ, წყალკანალისკენ; ქალაქი თბილისი, შეშელიძის ქუჩისა და მუხიანის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მუხიანის მიმდებარედ (საკადასტრო კოდები: N01.11.13.001.080; N01.11.13.002.188; N01.11.13.002.168; N01.11.13.002.190; N01.11.13.002.187) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

